მეხუთე კლასი
სწორი პასუხები

N1 – 3 ქულა: A. 48

N2 – 3 ქულა: B. 5

N3 – 4 ქულა: ვთქვათ 5 წერია ერთეულებში მაგ.: 15, 25.... , 95 ასეთი სულ 9 რიცხვია (0-ით რიცხვი არ იწერება)
ახლა ვთქვათ 5 ათეულებშია; მაგ.: 50, 51....., 59 ასეთი სულ 10 რიცხვია, მაგრამ 55 ორივე ჩამონათვალშია, ამიტომ პასუხია: 9+10-1=18

N4 – 4 ქულა: ცხადია ყოველ მომდევნო 7 დღეში (ანუ ერთ სრულ კვირაში) ზუსტად ერთი სამშაბათია ე.ი. 4*7=28 დღეში იქნება 4 სამშაბათი, დარჩენილ 3 დღეში მხოლოდ ერთი სამშაბათი შეიძლება იყოს

პასუხი: 5 სამშაბათი.

N5 – 5 ქულა: რადგან 30-14=16 და ეს რიცხვი თავდაპირველად კასრში ჩასხმულ წყლის მასაზე 2-ჯერ მეტია, ამიტომ თავიდან 16:2=8 კგ წყალი ჩაუსხამს დათოს კასრში. ანუ ცარიელი კასრი 14-8=6 კგ-ს იწონის

პასუხი: კასრი 6 კგ-ს იწონის

N6 -5 ქულა: რადგან გვინდა ბექას რაც შეიძლება მეტი სოკო მოვაკრეფინოთ, მასზე ცოტა სოკოს მოკრეფს 3 მეგობარი. მოვაკრეფინოთ რაც შეიძებლება ცოტა სოკო, ანუ 1+2+3=6, მაშინ ნიკას და ბექას დარჩება 25-6=19 სოკო და რადგან ნიკამ მეტი მოკრიფა საუკეთესო ვარიანტი იქნება ნიკა 10, ბექა - 9

პასუხი: 9 სოკო

N7 – 6 ქულა: დავყოთ პირობითად 9 ზონად 5*5 კვადრატი (იხ. ნახაზი) ადვილი მისახვედრია, რომ ვერცერთ რიგში ვერ იქნება 2 უჯრა გაფერადებული, შესაბამისად გაფერადებული უჯრების რაოდენობა 9-ს არ აღემატება, თითოეულ ზონაში გავაფერეადოთ 1 უჯრა და მივიღებთ შემდეგ პასუხს:



პასუხი: ლევანი გააფერადებს 9 უჯრას